№ 84
აპრილის 18, პარასკევი 1903 წ.
1877

ივერია

№ 84
აპრილის 18, პარასკევი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთად

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ს.-პეტერბურგის კომპანი „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია ასრულებს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

ასრულებს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საველელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (ციმბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობას.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო აგენი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში ტელეფონი № 108.
(120—6.—108).

რარმ. 49—9 ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

კვირას, 20 აპრილს, 1903 წელს.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქმნება:

დაკლებულის ფასებით

მეორედ ახალი პიესა.

მურად-ფაშა

ისტორ. დრამა 4 მოქ. ბ—ლისა, გადმოკეთებული მეტერლინკის „მონნა-ვანნა“-დგან.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ოტელო“.
რეჟისორი **ვ. გუნია.**

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის წევრთა წლიური კრება დანიშნულია 1903 წ. 20 აპრილს, დილის 10 საათზე ს. კუხში. განსახილველი საგნები:

1, განხილვა და დამტკიცება 1902 წლის ანგარიშისა.

2, სარევიზიო კომისიის მოხსენება.

3, შემოღება წარმომადგენელთა საზოგადო კრებისა.

4, გამგეობის მოხსენება მომავალი წლის ოპერაციის შესახებ.

5, სესხის აღების ნებართვა.

6, დამტკიცება მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

7, არჩევა ერთის გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა.

ამხანაგობის გამგეობა:
თავმჯდომარე პ. მდივანი.
წევრი ერ. კიწმარაშვილი.
გამგე ნ. წერეთელი.

(4—6—3)

სია

ქართვ. შორის წ.-კითხვ. გამავრც. საზ. წევრთა, რომელთაც შემოიტანეს საწევრო ფული 1—15 აპრილის განმავლობაში:

№№	სახელი და გვარი	მ.	კ.
70	ტერენტი წერეთელი	6	—
71	კარპე მოდებაძე	6	—
72	ექიმი ნიკო ხუდადოვი . . .	6	—
73	გრიგოლ აბაშიძე	6	—
74	ალექს. ჩხეიძე	6	—
75	იაგორ ლორთქიფანიძე . . .	6	—
76	პარმენ ჯავრიშვილი	6	—
77	დეკ. ესტ. ელიაშვილი . . .	6	—
78	მღ. ქრისტ. ციცქიშვილი . .	6	—
79	ვასილ ქიქოძე	6	—
		60	

სულ მდგომ. წ. განმავლ. შემოტან. 569

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა.

პარასკევს, აპრილის 18, დიდი წარმოდგენაა დანიშნული. სხვათა შორის, იქნება 4 კავკასიური ჭიდაობა. 1-ლი, **გიგო შანშიაშვილი** (იგივე ქიზიყელი) იჭიდავებს **კოსტანტინე მაისურაძესთან**, ჯილდო 20 მან.

2-რე, **ალექსი გლდანელი** (კულა გლდანელის ძმისწული) იჭიდავებს **პორფირე გახოკიძესთან**, ჯილდო 20 მან.



3-ე, **სვიმონ ქაჩალაშვილი—კოლა მაისურაძესთან**, ჯილდო—ვერცხლის საათი; და 4-ხე, ჭიდაობის მოყვარულნი **სანდრო ციციშვილი—სანდრო დალაქიშვილთან** უჯილდოოდ.

სათავად-აზნაურო თეატრში

19 აპრილს 1903 წ. გაიმართება ტფილისში პირველად ახალი, **არა-ჩვეულებრივი-სათვალთმაქცო საღამო**

კაცის ქალად გარდაქმნა

ერთად-ერთი ფრანგი პრესტიდიჟიტატორი ქ. მარსელიდგან

როზერტ სიმენსი

და ბერძენი გულთმისანი ქალი **მაგდალინა ანგელიდის ასული.**

გამართავენ მხოლოდ 2 ფანტასტიურ საღამოს ტფილისში. დაწვრილებითი პროგრამა გამოცხადებულია აფიშებში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
(3—98—2).

სახალხო წარმოდგენა № 18

ტფ. სიფხიზ. საზ.—ავლაბრის განყოფილება
(ნ. ნ. მურაშკოს თეატრი)
კვირას, 20 აპრილს,

სადღესასწაულო წარმოდგენა

ქართულის სცენის მოყვარულთაგან
გიგო გელიკურაშვილის
ოცის წლის მოღვაწეობის პატივსაცემლად
წარმოდგენილი იქმნება

I
მუნჯი
კომ. 2 მოქ. გ. ერისთავისა.

II
გაცრუებული იმედი
მეორე მოქმედება, აზიანისა.

III
მათიკო
მესამე მოქმედება ა. ცაგარლისა.

IV
აკოთეოზი

მონაწილეობენ: ქქ. აფხაზიშვილი, გორელი, ქართველიშვილი, ყურული; ბბ. ბადაშვილი, გაბოშვილი, გელიკურაშვილი, იმედაშვილი, მეტრეველი, პეპანოვი, რევაზიანი, სადაგაია, ფავლენიშვილი, ყალბეგაშვილი და სხ.

ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო **მუსიკა, დუდუკი** და ქართული მომღერალთა გუნდი იმღერებს.

თეატრთან არის სასეირო ბაღი და ბუფეტი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შემდეგისთვის მზადდება „დამნაშავეა“, დრამა ფოსისა,
რეჟისორი **ი. იმედაშვილი**

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

გაიხსნა

დეკადანსური მაღაზია

საუცხოვო ხელოვნების ნივთებისა არტისტიულ საზოგადოების შენობაში.
(7—6.—4)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე ჰავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის.
(წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მუღინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიცკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

სადამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით **და** პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

№ 46—8 ტელეფონი № 617

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანახოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის, ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

ტფილისი, 10 აპრილი.

ვისაც-კი თვალყური უდევნებია შეერთებულ შტატებისა და ევროპიელ სახელმწიფოთა ურთიერთობისათვის, უეჭველია ეცოდინება, რომ შეერთებული შტატები ყველაზედ ნაკლებ თანაგრძნობით გერმანიას ეპყრობოდა, თუმცა ამ უკანასკნელის შესანიშნავნი დიპლომატნი— როგორც, მაგ., „რკინის კანცლერი“ ბისმარკი და მისი მოადგილენი — დიდად მოწადინებულნი იყვნენ დაახლოვებოდნენ და დაჰმეგობრებოდნენ ჩრდილო ამერიკის რესპუბლიკას. სწორედ ამავე გზას ადგია ეხლანდელი იმპერატორი გერმანიისა, ვილჰელმ მე-II, რომელიც არავითარ ღონისძიებას არა ჰზოგავს, რომ როგორმე ვაშინგტონის მთავრობის გული მოინადიროს და მტკიცე კავშირით შეეკრას, მაგრამ ყოველივე ცდა ამაო გამოდგა. პირიქით, რაც უფრო ეფერება და ელოლავება გერმანიის იმპერატორი, მით უფრო ეჭვის თვალით უყურებს შტატების მთავრობა მის პოლიტიკას.

ეს გარემოება მითაა საგულისხმო, რომ ბისმარკის გამჭრიახ პოლიტიკაზედ აღორძინებულ გერმანიას იშვიათად მიუტანია რომელსამე სახელმწიფოზედ ისეთი დიპლომატიური იერიში, რომ გაწბილებული და ხელცალიერი უკუქცეულიყოს. შეერთებულ შტატებთან კი სწორედ ასე მოუვიდა.

ჯერ იყო და გერმანიის იმპერატორმა ამერიკას გაჰგზავნა თავისი ძმა ჰენრიხი, რომელსაც უნდა დაერწმუნებია ვაშინგტონის მთავრობა, რომ გერმანია განსაკუთრებულის პატივითა და თანაგრძნობით შეჰყურებს შეერთებულ შტატებსაო, და ნიშნად ამ პატივისცემისა ვილჰელმის სახელით მიუძღვნა ფრიდრიხ დიდის ქანდაკება; ამერიკელებმა თავაზიანი მადლობა შესწირეს, თუმცა არაფრად ეპიტნავათ ამგვარი საჩუქარი. ეს ძეგლი ჯერაც არ წარუგზავნიათ ამერიკას, რადგან ვაშინგტონის მთავრობამ მოიმიზეზა, —ჯერჯერობით შესაფერისი ადგილი არ გვაქვს მაგ ძეგლის აღსამართავადაო, და ადვილად მოსალოდნელია, რომ გერმანიას ამ საჩუქრის უკანვე წაღება მოუხდეს.

მეტად გულგრილად და უნდოდ უყურებენ ამერიკელნი აგრეთვე გერმანიის ვაშინგტონელ დესპანს, რომელიც იმ ზომამდეა მოწადინებული მათ გულის მოგებას, რომ ზოგჯერ მისი

საქციელი თავის დამცირებამდე აღწევს ხოლმე.

ამავე დროს ამერიკელნი უფრო მედიდურად და გულზვიადად ლაპარაკობენ გერმანიის ძლიერების შესახებ, თითქოს უნდათ დაანახვონ ქვეყნიერობას,—გერმანია ვერაფერში წამოგვეტოლებაო.

დასასრულ, როცა ვაშინგტონის მთავრობამ განიზრახა თავის ფლოტის უპირატესობის დასამტკიცებლად მისი ევროპისაკენ გამოგზავნა და პორტუგალიაზედ საცდელ იერიში მიტანა,—გერმანიამ აქაც დაასწრო სხვა სახელმწიფოებს და სთხოვა შეერთებულ შტატებს,—იმედია, თქვენი ფლოტი ჩვენს ნავთსადგურ კილსაც ესტუმრებაო, მაგრამ ამაზედაც უარი მიიღო.

ამავე დროს, უკანასკნელ ცნობებით, შტატების მთავრობას ბრძანება მიუცია ფლოტის მთავარ-სარდლისათვის,—მოგზაურობიდგან დაბრუნებულ საფრანგეთის პრეზიდენტ ლუბეს უსათუოთ მარსელს მიეგებეთო.

ეს ამბავი დიდად იწყინეს გერმანიაში; იქაური გაზეთობა სულ ცეცხლს აფრქვევს,-და კიდეც უმართებს,—ეს პირადი შეურაცხყოფაა გერმანიისა: ჩვენ მუდამ მეგობრულად ვექცევით შეერთებულ შტატებს, საუცხოთ ქანდაკებაც-კი ვუძღვენითო, თავაზიანად მოვიპატიჟეთ, და არც-კი გვეწვივნენ; საფრანგეთს-კი,—რომელსაც არავითარი სამსახური არ მიუძღვის მათ წინაშე—სრულიად დაუპატიჟებლად ესტუმრებიანო. ეს პირდაპირი შელახვაა ჩვენის თავმოყვარეობისაო.

მათ დასამშვიდებლად ვაშინგტონის მთავრობას უცნობებია,—ბრძანება გავეცით, რომ მარსელის შემდეგ ფლოტი კილს ეწვიოსო. მაგრამ, რაღა გამოვიდა? ფაქტი ფაქტად რჩება, რომ გერმანიის გულითადს ზრახვას უგულვებელ ჰყოფს შტატები; მის საჩუქრებსა და პატიჟობასაც-კი გაურბის.

მონროეს დოქტრინის მტკიცედ დამცველნი ამერიკელნი, იმ დოქტრინისა, რომელიც ამბობს—ამერიკა მხოლოდ ამერიკელთათვისაო—მართალია, არაოდეს არ ჰმეგობრობდნენ გერმანიას, მაგრამ მათი დაახლოვება მით უფრო ძნელი შეიქნა, რომ გერმანიამ თავის მოქმედებით ჯერ ესპანია ამერიკის ომის დროს ატკინა ჩრდილო ამერიკელთ გული და შემდეგ, აი, ამ რამდენისამე თვის წინად, ვენესუელას რესპუბლიკის განადგურებით. გერმანია დიდად მოწადინებული იყო ამერიკის ნაპირზედაც მოეკიდნა ფეხი, მაგრამ მის წადილს წინ გადაეღობა შეერთებული შტატები, რომელსაც მტკიცედა აქვს გარდაწყვეტილი გარეშეთაგანი არავინ გაურიოს ამერიკის საქმეებში; ამისათვის არც არავის იმეგობრებს და არც არავის უმეგობრდება, რადგან ყოველი გარემოება ხელს უწყობს, რომ მტერს მტრულად დახვდეს და მოყვარეს—მოყვრულად.

ტფილისი

◆ ამ რამდენიმე ხნის წინედ ქალაქში მცხოვრებს ქვრივს ნატალია ალექსის ასულს მახარაშვილისას თავისი პატარა ცამეტი წლის შვილი მიხეილ მახარაშვილი მუშად მიუბარებია ფ—რად ქარხანაში თვეში ოთხ მანეთად. ფაბრიკის გამგეს ყმაწვილისათვის სრულიად შეუსაბამო და შეუძლო სამუშაო ჩაუბარებია. ყმაწვილი მუშაობის დროს გადაჰყოლია სამუშაო ბორბალს და თავი სრულებით დასჩეჩქვია მაშინისაგან. ცოცხალ მკვდარი ყმაწვილი წაუყვანიათ მიხეილის საავადმყოფოში. პირველად ექიმებს იმედი არა ჰქონიათ მორჩენისა, ყმაწვილი მთელი კვირა უსიტყვოდ გდებულა, ხოლო შემდეგ სრულიად მოულოდნელად ყმაწვილს ცოტათი მოუკეთებია, მაგრამ ექიმები ამბობენ, ბავშვი მუშაობას ვერ შესძლებს და სამუდამოდ ლენჩი დარჩებაო. ქარხანის პატრონს, იმის მაგივრად, რომ უზრუნველ ეყო მატერიალურად მისგანვე დაღუპვილი ოჯახი, გამოუცხადებია, ერთი თვის საავადმყოფოს ფულს მეტს არ გადვიხდიო, და ამიტომ ყმაწვილი საავადმყოფოდან კიდეგაც დაუთხოვნიათ. ქ-ნი ნატალია მახარაშვილისა, როგორც გადმოგვცეს, ბევრი წვრილი შვილების პატრონია, არავითარი თურმე ცხოვრების სახსარი არ მოეპოვება და აბა, ვინ იცის, რა მოელის უწამლებლად და უექიმოდ საბრალოდ ქუჩაზე გაგდებულ ბავშვს! ნუ-თუ საჭირო არაა, ვისაც ჯერ არს, მიაქციოს ამ სამწუხარო გარემოებას ჯეროვანი ყურადღება და უდანაშაულო მსხვერპლი იხსნას მომავალ განსაცდელისაგან?!

◆ ქალაქის ინჟინერის თანამდებობაზედ, ქალაქის გამგეობას მიუღია ბ. კოგნოვიცკი.

◆ დღეს დანიშნულია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება, მორიგ საქმეთა განსახილველად.

◆ ქალაქის პირველდაწყებითი სკოლების წლიურ ანგარიშიდამ სჩანს, რომ ქალაქის ხარჯზედ ყოფილა დარჩენილი სულ 18 სკოლა. ამათში ქალაქს გაუღია 7—1881 წ., 2—1896 წ., 3—1898 წ., 4—1899 წ., 1—1900 წ. და ერთიც 1901 წ. ამ სკოლებში, მთაწმინდის სკოლის გარდა, (რადგან სკოლის გამგეს ანგარიში არ წარმოუდგენია) სწავლობენ 1919 მოწაფე; იმათში 1245 ვაჟია და 664 ქალი. ეროვნობით: 812 რუსია, 436 ქართველი, 622 სომეხი, 2 ურია და 47 თათარი. წოდებით: 78 თავად-აზნაური, 964 მოქალაქე, 885 გლეხი და 34 სასულიერო წოდებისა. წარსულ წელს სწავლა დაუმთავრებია 207 მოწაფეს.

◆ 16 აპრილს, ქალაქის თავმა, სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის თანადასწრებით დაათვალიერა გადამდებ ავადმყოფთა სამკურნალო და ღამის თავშესაფარები.

◆ 24 მაის ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წლიური კრებაა დანიშნული. კრებაზედ მოხდება აგრეთვე არჩევნები.

◆ ტრამვაის საზოგადოების გამგეობა ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ ცხენის რკინის გზის ვაგონები სადგურიდან გამოვლენ ხოლმე დილის 6 ს. 40 წ. ხოლო ვაგზლიდამ 7 ს. 15 წ. ვაგზლიდამ საღამოთი უკანასკნელად გავა 10 საათზედ 30 წამ., შესწყდება სრულიად სიარული 11 საათზედაო.

◆ „ნოვ. ობოზრ.“ ატყობინებენ, რომ არტისტი ალექსი-მესხიშვილი ერთი თვის შემდეგ ვენიდამ ქუთაისს დაბრუნდებაო.

◆ წარსულ თვეს ჭიათურიდამ, ჭიქაურიდამ და დარკვეთიდამ გაუტანიათ ფოთში და ბათუმში 4,787 ვაგონით 3.590,250 ფუთი შავი ქვა, ბალაჯარში 24 ვაგონით 18,000 ფუთ., სულ 3,608,250 ფუთი. სადგურ შორაპნიდამ გაუგზავნიათ ფოთში და ბათუმში 4,782 ვაგონი—3,585,500 ფ., ბალაჯარში 16 ვაგონი—12,000 ფუთი. სულ 3,597,500 ფუთი. 1 აპრილისათვის შავიქვის საწყობებზედ იყო: ჭიათურაში 17,375,000 ფ. ჭიქაურში 10,231,000 ფ., დარკვეთში—2,560,000 ფ.. სულ 30,166,000 ფუთი.

◆ როგორც გავიგეთ, შემოდგომისათვის საარქეოლოგიო საზოგადოება გამოსცემს კრებულს. კრებულში იქნება მოთავსებული მ. გ. ჯანაშვილის, ე. თაყაიშვილის და სხვების წერილები.

◆ ხმოსანს ა. ი. ვართანოვს ქალაქის საბჭოში შეუტანია განცხადება, რომელშიაც ამტკიცებს, რომ ქალაქში სხვა-და სხვა გადამდებ სენის გავრცელების მიზეზი არის ქალაქის ცუდი სანიტარული მდგომარეობაო. ამიტომაო, ამბობს ვართანოვი, საჭირო არის სასანიტარო სამკურნალო განყოფილება ჩამოსცალდეს საბეითალო განყოფილებას, გაისინჯოს ყველა დებულება სასანიტარო-სამკურნალო განყოფილებისა და ბოლოს მიენდოს მოხსენების შემუშავება საგანგებოდ ამორჩეულ კომისიას, რომელმაც უნდა წარუდგინოს საბჭოს განსახილველად მოხსენება სამი თვის განმავლობაშიო.

◆ ავლაბრის და კუკიის მიწების გამგე კომისიას შეუმუშავებია ინსტრუქცია და დასამტკიცებლად წარუდგენია ქალაქის საბჭოსათვის. როგორც სჩანს, კომისიას მომეტებული ნაწილი ავლაბრის მიწებისა იჯარით მიუცია. ქალაქი მიწებიდგან წრეულს შვიდი ათას მანეთამდე ფულს აიღებს.

◆ სესია ტფილისის ოლქის მეორე სისხლის სასამართლოს განყოფილებისა 7 მაის მიდის ქ. დუშეთში და დარჩება იქ 10 მაისამდე.

◆ როგორც ამობენ, ტფილისის სასულიერო სემინარიაში ეგზამენები დაიწყობა 24 აპრილს და გასტანს თიბათვის პირველ რიცხვებამდე.

◆ წარსულ წლის პირველ იანვრიდამ, ქრისტიშობის თვის პირველამდე, ამიერ კავკასიის რკინის გზას ჰქონია შემოსავალი 24,943,460 მ. ამ ფულიდამ რკინის გზას დაჰხარჯვია 11,960,937 მ. დარჩენია წმინდა შემოსავალი 12,982,523 მ.

◆ ქალაქის საბჭოს კომისია უკვე შეუდგა ავჭალის ცხენის რკინის გზის ანგარიშების გადათვალიერებას. საბჭოს აზრადა აქვს შეისყიდოს ეს გზა ყორღანოვისა და ალიხეგოვისაგან.

◆ ამ ბოლოს დროს საქონლის ჭირმა ბევრს ადგილას იჩინა სოფლად თავი. საქონელი დიდძალი იხოცება, მაგრამ პატრონი არავინ არის, რადგან სოფლებიდამ თვითონ ბეითლებს არ ატყობინებენ თავის დროზედ. ამის გამო მართველობამ გასცა ბრძანება, რომ სოფლის მოხელეებმა დაუყოვნებლივ აცნობონ ხოლმე ბეითალს, როცა გაჩნდება სოფლად საქონლის ჭირი, წინააღმდეგ შემთხვევაში სოფლის მოხელეები პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

† თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღვარი ათანასია.

(ნეკროლოგი)

ისედაც შემცირებულ და დაბეჩავებულ სულიერ მოძღვართა კრებულს მრავალ-წამებულ საქართველოს ეკლესიისას ამ დღეებში კვლავ გამოაკლდა ერთი სამაგალითო, მტკიცე და მხნე მუშაკი სარწმუნოება-ზნეობის ასპარეზისა.

ოთხშაბათს, 9 აპრილს, თეკლათის დედათა მონასტრის დათა კრებული გლოვითა და ზარით სამუდამოდ გამოეთხოვა თავისს სასასოვო წინამძღვარს, იღუმენია დედა ათანასიას, რომელიც, კრებულისა და განსვენებულის ნათესავთა თხოვნის თანხმად, ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზის ალექსანდრეს ნებართვით, დაკრძალულ იქმნა მონასტრისავე ტაძარში.

ჩვენს გაფუქსავატებულ დროში, როდესაც ერის კაცნი-კი არა, სამღვდელოების წარმომადგენელნიც-კი გულგრილად ეპყრობიან საქართველოს ეკლესიის წარსულის ისტორიას და აწმყო-მომავლის ბედ-იღბალს, საკვირველი არ არის, რომ ბევრმა ქართველმა არც-კი იცოდეს თეკლათის დედათა მონასტრის არსებობა ჩვენში; ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ თეკლათის მონასტერი შედარებით დიდის ხნის დაარსებული არ არის; თუმცა ახალია ეს მონასტერი, მაინც მის ზღუდეთა შორის ოთხმოცზე მეტი დათა კრებული იფარავს თავს.

წინამძღვარი ამ რიცხვ-მრავალ კრებულისა, აწ განსვენებული იღუმენია ათანასია, იყო ასული სენაკის მაზრის ს. თეკლათის აზნ. სალაყაიასი. მამის სიკვდილის შემდეგ ახალგაზრდა ადათი იზრდებოდა ერთს ახლობელ ნათესავის ოჯახში, სადაც შეისწავლა ქართული წერა-კითხვა, თავიდგანვე ეტყობოდა მისწრაფება განდეგილობისადმი და როცა ოცი-ოცდა ხუთის წლისა შესრულდა, კიდეც განშორდა ამ წუთის სოფლის ამაოებას, ჰპოვა-რა თავშესაფარი თეკლათის სოფლის ძველად ყოფილ პატარა სამრევლო ეკლესიაში, რომელიც იმ ხანად უკვე გაუქმებული იყო, როგორც სამრევლო ეკლესია და გადაქცეული იყო განდეგილ დათა სამლოცველო-სავანეთ; ამ სავანეს მაშინ უფროსობდა დედა სალომე (თავდგირიძის ასული). იმ დღიდგან მოკიდებული განსვენებული იღუმენია შეუდგა სულის განმტკიცებას ღვთის ვედრებით და საღმრთო წერილის კითხვით და ამ ხანად იმდენად განსწავლული იყო ქართულ საღმრთო წერილში, რომ ამ მხრივ ცნობილი შეიქმნა სასულიერო მთავრობისაგან, როგორც ერთი საუკეთესოთაგანი.

განა მარტო ამ მხრივ! ცნობილი იყო აგრეთვე როგორც დამაარსებელი და გამამშვენებელი თეკლათის დედათა მონასტრისა, შემომკრები მრავალ რიცხოვან დათა, საუკეთესო ადმინისტრატორი დედათა მონასტრის მართვა-გამგეობაში და ამასთანავე უანგარო, შორს გამჭვრეტი და უსათნოესი ადამიანი.

საკმარისია მარტო ერთი თვალი გადაავლოს კაცმა ახლა თეკლათის დედათა მონასტერს, რომ დარწმუნდეს, რა დიდის ჭკუისა და ენერგიის პატრონი იყო დედა ათანასია, რომელმაც არა რაისაგან ოც-და-ხუთი წლის განმავლობაში შექმნა მონასტერი, რომლის ქონება დღეს რამდენიმე ათი-ათასი მანეთი ჰღირს.

სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ტაძარი და სასკოლე შენობა 60,000 მანეთია დამჯდარი. ორ სართულიან ძვირფას ქვის შენობაში მოთავსებულია ორ-კლასიანი საქალებო სკოლა, სკოლის ეკლესია და მრავალი ოთახი სხვა-და-სხვა დანიშნულებისათვის.

შარშან სარევიზიოდ მოსულმა სკოლას მალე ოთხ-კლასიანად გადაკეთება აღუთქვა და წელს იანვრიდგან სკოლის შესანახავად 2,000 მანეთი გამოუთხოვა სათანადო მთავრობისაგან.

მონასტრის დიდს ტაძარში ყოველ დღე გაისმის სულის დამტკბობი, შეწყობილი ქართული გალობა მონასტრის დათა და აი, ყოველივე ეს, შექმნა მარტოოდენ დედა ათანასიამ ოცი-ოც-და-ხუთი წლის დაუცხრომელის შრომითა და მეცადინეობით.

ასეთი დაუღალავი მუშაკი სამშობლო ეკლესიისა, ჯერ კიდევ მხნეობით და სიცოცხლით სავსე, სულ 52 წლის ადამიანი, ვნების კვირაში 5 აპრილს წუთი სოფელს გამოესალმა.

განსვენებულის დაკრძალვის დღეს, 9 აპრილს, მონასტერში მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე კრებულით და დიდძალი სამღვდელოების თანამსახურებით. წირვას აუარებელი საზოგადოება დაესწრო და, თუ ცუდ ტაროსს ხელი არ შეეშალა, მიცვალებულის ნათესავთა და პატივის მცემელთა რიცხვი ბევრად უფრო მეტი იქნებოდა. წირვის შემდეგ ყოვლად სამღვდელომ მიჰმართა განსვენებულს მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვით; სიტყვა ისე ბუნებრივად და გრძნობით იყო წარმოთქმული, რომ არამც-თუ დამსწრენი, თვით ყოვლად სამღვდელოც-კი ატირა. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორმა მღვდელ-მონაზონმა მამა დავითმა. თავის სიტყვაში მამა დავითმა ვრცლად განმარტა ის ღვაწლი, რაც განსვენებულ იგუმენიას მოუძღოდა ეკლესიის წინაშე. გრძნობიერი სიტყვები წარმოსთქვეს: მღვდელმა ჭანტურიამ, მასწავლებელმა გაგუამ, აზ. ანდრონიკე სალაყაიამ, ერთმა მონასტრის დათაგანმა და განსვენებულის დისწულმა მოსწავლემ შავდიამ. ამ უკანასკნელის სიტყვამ ბევრი ატირა დამსწრეთა შორის.

პ. ლ—ძე

ჩვენებური ამბები

ბათუმი. წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც აქაურ ქართულ სკოლის დარბაზიდან ყოველ საღამოობით გამოისმის ქართულ ხმების სასიამოვნო გუგუნი. მის მახლობლად გამვლელ-გამომვლელნი ძალა უნებურად ჩერდებიან და ისმენენ ნამდვილ ქართულ სიმღერებს. ამის მოთავეა რკინის გზის მოხელე ბ-ნი გ. გ. საყვარელიძე, რომელიც შარშან მოიწვია ბათუმის ქართველი ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა გუნდის შესადგენად. ინტელიგენციის სურვილი იყო, როცა გუნდი გაიწვრთვნებოდა, ხანდახან ქართული კონცერტები და წარმოდგენები ემართათ ბათუმში. მაგრამ სურვილი სურვილად დარ-

ფელეტონი

რა აჭირვება ქიზიყს?

ხალხის ჯანმრთელობა უპირველესია იმ მიზეზთა შორის, რომლის მეოხებითაც შესაძლებელია მისი კულტურული წინ სვლა. არაფერი დიდი საქმე არ გაკეთდება იქ, სადაც სიცოცხლის ენერგია არ სჭარბობს. ბედნიერებას მხოლოდ ის ერი ეღირსება, რომელიც ძალ-ღონით არის სავსე და ენერგიულად ეძებს ამ ბედნიერებას. ავადმყოფი ერი არსებობისათვის ბრძოლაში ბოლოს და ბოლოს გაისრისება.

როგორც საქართველოს ბევრი სხვა კუთხე, ქიზიყიც დასნეულებულია იმ საშინელ სენით, რომელმაც ლამის გაანადგუროს ქართველი ერი,—მალარიით. ძნელად შეხვდებით ამ მაზრაში ისეთ კაცს, რომ ეს სენი არ ჰქონდეს გამჯდარი ჯანში. „თურაშაულ ვაშლივით“ აწითლებულ ლოყებიანს აქ ვერ დაინახავთ.

მერე რა მდიდარი მაზრაა! წინა-მხრის სოფლების მსგავსი სიმდიდრე მე სხვა სოფლებში არ მინახავს. ეს სიმდიდრე მშვენიერ კახურ ღვინის წყალობაა.

მაგრამ რად უნდა სიმდიდრე იმას, ვისაც მუცელი ტყირპითა აქვს ამოსივებული და სხეულის თითქმის არც ერთი ნაწილი არ მოეპოვება დაუსნეულებელი მალარიისაგან! ყველაზე უკეთესი სიმდიდრე ადამიანისათვის ჯანმთელობაა, ე. ი. ის, რაც აკლია სიღნაღის მაზრის მცხოვრებს.

ხსენებული სენი წარმოსდგება ჰაობისა და გუბეებისაგან ალაზნის პირად და თვით სოფლებს ახლო. ეს გუბეები და ჰაობები ზრდიან კოღოს უამრავს ჯარს, რომელიც არის მიზეზი მალარიის გაჩენისა მით, რომ კბენის დროს კოღო სწამლავს ადამიანის სისხლს მალარიის შხამით. კოღოს ლაშქარი—აი, ჩვენი მტერი, ჩვენი დამასნეულებელი, სიცოცხლისა და ენერგიის წამრთმევი,—მტერი, რომელთანაც ბრძოლა აუცილებელია, თუ გვსურს ჩვენი არსებობა დავიცვათ.

მეორე მიზეზი კახელთა დაუძლურებისა ჯანმრთელობის მხრივ—ლოთობაა. ღვინო ერთსა და იმავე დროს ძალაც არის, როგორც ფულის შესაძენი საშუალება, და სისუსტის გამჩენელიც, როგორც ხრონიკულად მომწამლავი სხეულისა. კახელმა ზომიერება არ იცის სმაში. თუ წვეულება აქვს გამართული, უთუოდ უნდა დათვრეს. წყალ-გარეულ ღვინოს თავის დღეში არ დალევს. ღვინით დათრობა გვირგვინია მისის ესტეტიურის კმაყოფილებისა.

არავინ იფიქროს, რომ მე ამას ვამბობდე, როგორც კახელთა მტერი. პირიქით, ასე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ გული მტკივა, როგორც მათს მოძმეს, მოყვარეს. მოყვარეს პირში უძრახე და მტერს ზურგს უკანაო, ნათქვამია. მართლის თქმისათვის არავინ უნდა დამემდუროს. არ გამიკვირდება-კი, რომ გულნატკენი დამრჩეს ვინმე, რადგან ბევრია ისეთი, რომელსაც სიმართლე თვალებს უყენებს.

ქართულ ლოთობის მიზეზი ორგანიული, ბუნებრივი როდია, იგი ჩვეულებაა მხოლოდ. საფუძვლად ამ მავნებელ ჩვეულებას უძევს სულიერი უშინაარსობა. ერთად შეკრებილ ქართველთ სალაპარაკო მასალა მალე შემოელევათ ხოლმე და, რომ თავი შეიყოლონ, მეტი საშუალება არა აქვთ, სმას უნდა მიჰყონ ხელი. საერთო ლაპარაკი, ბაასი, ბჭობა შედეგია განვითარებულის ცხოვრებისა. ამისათვის საჭიროა, რომ ერთად შეკრებილთ საზოგადო საჭირ-ბოროტო საქმე აინტერესებდეთ. ჩვენი სოფლელნი კი საზოგადო საქმეების გარეშე ცხოვრებენ, თვითეულს მხოლოდ თავისი საკუთარი საქმე აქვს მოხვეული კისერზე და საკუთარის ღონით ეწევა უღელს რის ვაი-ვაგლახით და ჭაპან-წყვეტით თავის პატარა, ვიწრო, პირადს მოედანზე.

მოთხოვნილება ერთობისა კი ძლიერია ქართველთა შორის. ეს სოციალური ინსტიქტი აიძულებს ქართველთ ხშირად შეიკრიბონ ერთად და, როგორც ზემოდ ვთქვი, დრო გაატარონ ღვინის სმით, რადგან ჯერ მოკლებულნი არიან სხვა თავის-გასართობ საშუალებას

ერთად-ერთი ესტეტიური ელემენტი ქართულ წვეულებისა—არის სიმღერა, ცეკვა. კერძოთ კახელების შესახებ უნდა მოგახსენოდ, რომ ამათს წვეულებაზე — მეტადრე თავად-აზნაურთა შორის — კახური მრავალ-ჟამიერის მეტი არა გამიგონია-რა. ქართულ მუშურ სიმღერებს გაიგონებთ მხოლოდ იმ გლეხის ოჯახში, სადაც ჯერ „ცივილიზაციის“ არც ერთ სხივს არ შეუშუქებია. მერე რა მშვენიერი სიმღერებია! დიაღ, ეს ესტეტიური განძი გლეხის ღარიბ ქოხშიღაა შენახული. ვშიშობ-კი, ვაი თუ დროთა უკუღმა ბრუნვისაგან გლეხის ქოხშიაც-კი გადავარდეს ეს ნაშთი ჩვენის ძველის მომხიბლველის სიმღერებისა და ქართველთა სული კიდევ უფრო მწირი შეიქნას. ღმერთმა-კი ნუ ჰქმნას!

რასაკვირველია, რომ მარტო „მრავალ-ჟამიერი“ ვერ დააკმაყოფილებს შეკრებილთა ესტეტიურ მოთხოვნილებას, ვერ შეიპყრობს მათს სულს და ვერ ააღებინებს ხელს ღვინის სმაზე.

მეტი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ცეკ- როგორც ყველგან, კახეთშიაც ქალები არიან ვას. ცეკვის გამართვის დამწყებნი. მადლობა ღმერთს სმას იგინი არ ეტანებიან, მამაკაცთა უთავბოლო სმა-ყვირილი ბოლოს-და-ბოლოს მოსწყინდებათ და გაჰმართვენ ხოლმე ცეკვა-თამაშს. გამოტეხილი უნდა მოგახსენოთ-კი, რომ კახელ ქალებს „ლეკურის“ თამაშში ვერავინ დაედრება. მათი ხელოვნება ამ მხრივ უმაღლეს ხარისხს მიაღწევს. ისე მიცურავენ, გეგონებათ, ფრინავენო. მათი სიმარდე, სილამაზე და გრაცია განსაცვიფრებელია. ამ მომხიბლველ სანახაობაზე მოხუცნიც კი თავს ანებებენ სმას და, თუ სხვაფრივ არა, ტაშის-დაკვრით მაინც იღებენ მონაწილეობას თამაშობაში. ყმაწვილებს-კი აბა როგორ არ აუტოკდებათ გული და რა-ღა გააჩერებთ სუფრაზედ?!

ამგვარად, მამაკაცები იწყებენ სმით და დედაკაცები-კი ათავებენ ცეკვით და რომ დედაკაცები არ გაერეოდნენ ბოლოს საქმეში და არ აშლიდნენ ხოლმე სუფრას, არ ვიცი, რით უნდა დასრულდეს კახელთა წვეულება.

რასაკვირველია, რომ ვერც ეს ცეკვა-თამაში და მეტადრე ვერც სიმღერა ვერ მოაშლევინებს კახელთ ლოთობას. ცეკვა-თამაში, სამწუხაროდ, მაშინ იმართება, როცა ღვინომ უკვე თავისი საქმე აღასრულა, და „მრავალ-ჟამიერი“-კი, პირიქით, სმას ხელსაც უმართავს, არა თუ ხელს უშლის.

თუმცა ღვინო იმდენად მავნებელი არ არის სხეულისათვის, როგორც არაყი, მაგრამ მისი მავნებლობაც ეჭვს გარეშეა, მეტადრე ისეთი სხეულისათვის, რომელიც მალარიით არის დასნეულებული. დამტკიცებულია, რომ ალკოჰოლი ძლიერ ცუდად მოქმედებს მალარიით ავადმყოფზე, აჩენს ამ ნიადაგზე სხვა-და-სხვა ხრონიკულ სნეულებას.

საჭიროა მოისპოს ლოთობა, ეს ველური, ადამიანის გამაპირუტყვებელი, დამამცირებელი დროს ტარება. ამ გამწვავებულ ბრძოლაში არსებობისათვის ძალღთი თავს ნუ დავისუსტებთ და მტერს ნუ გავექელვინებით. როდესაც ფხიზელი გონება გვეჭირვება, ნუ დავიბრმავებთ ალკოჰოლით გონებას. ღვინო გავიხადოთ სიმდიდრის წყაროდ და არა დამასნეულებელ საშუალებად. შემცდარია, ვისაც ჰგონია, რომ დაუთრობლად დროს ტარება და მხიარულება არ შეიძლებაო. პირ-იქით, დათრობა სწამლავს მხიარულებას.

მესამე არა-ნაკლები საჭირ-ბოროტო საკითხი ქიზიყისათვის შეეხება სახლ-კარს ანუ, უკედ ვსთქვათ, უსახლ-კარობას. აქაური გლეხი ძველთაგან მიჩვეულია უსახლობას და, ვინც შეძლებულია, ისიც-კი ისეთს ქოხში სცხოვრებს, რომ შესვლა დაგეზარება. ამას-

ჩათ, რადგან პირველობისათვის ურთიერთშორის შუღლი და განხეთქილება ჩამოაგდეს და დაავიწყდათ სიტყვები მოციქულისა: ნუ იშურებთ ურთიერთობას, რამეთუ არა განილინეთ თქვენ. მანამდი არ მოისვენეს, სანამ თავიანთ განზრახვას ბოლო არ მოუღეს. ყველას, მიუხედავად იმისა, შესწევდა თუ არა ცოდნა და უნარი საქმის მოთავეობისა, მეთაურობა სურდა და საქმე ჩაიშალა. ვერც წარმოდგენების საქმე მოაწყვეს და ვერც კონცერტებისა.

ყველას ეგონა, რომ ხოროს შედგენა ვეღარ მოხერხდებოდა, მაგრამ საქმის სიყვარულს, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი შეუძლიან. სწორედ ეს საქმის სიყვარული გამოიჩინა ბ-მა საყვარელიძემ. მან, მიუხედავად მისი მომწვევლების არევ-დარევისა. თითონ შეადგინა თავისი გუნდი ბათუმელ ახალგაზდა ქართველთაგან. ეს ერთი წელიწადია, რაც ასწავლის მშვენიერ ქართულ სიმღერებს. ამ ჟამად ჰყავს კარგათ გაწვრთნილი ხორო და სურს ამ მოკლე ხანში, სახელდობრ მაისის პირველ რიცხვებში, გამართოს სადებიუტო კონცერტები ბათუმში, ფოთში, ქუთაისში და, თუ მოხერხდა, ტფილისშიაც.

ჩვენ გვგონია, ბ. საყვარელიძეს კონცერტები მეტად საინტერესო იქმნება, რადგან, ცნობილ ქართულ სიმღერებს გარდა, პროგრამაში ჩართული აქვს ხუთი სიმღერა: „მერანი“ ლექსი ნ. ბარათაშვილისა, „სამშობლო ხევსურისა“, რ ერისთავისა, „ადამიანი“ მ. გურიელისა, „ლეკური“, „კინტაური“ ერისთავისა და „გუთნური“ ქავქავაძისა, მისივე (ბ-ნ საყვარელიძის) მუსიკა და კიდევ ხუთი ხალხური სიმღერა ოთხ ხმაზე გადაკეთებული, მის მიერვე.

სწორედ თანაგრძნობის ღირსია ბ-ნი საყვარელიძე და ვუსურვებთ, კარგად წასვლოდეს საქმე, მით უმეტეს რომ იგი არ არის უბრალო მოყვარული, არამედ ნიჭიერი ახალგაზდა, ქართული მუსიკის სულით და გულით მოტრფიალე, და სურს, თუ ჩვენი საზოგადოების ოდნავი ყურადღება მაინც დაიმსახურა თავის კონცერტებით, შევიდეს პეტერბურგის კონსერვატორიაში და, სწავლის დამთავრების შემდეგ, საგნად გაიხადოს ქართულ მუსიკის სამსახური.

—ონ—ლიძე.

რუსეთი

ექვს და შვიდ მარტს ქ. კიშინევში ადგილობრივ მკვიდრ ებრაელთ თავს დაესხნენ მუშები, დაანგრიეს ებრაელთა დუქნები და სახლები. პოლიცია და ჯარები იყო გამოწვეული, მაგრამ ხალხი თავისას არ იშლიდა, მოედვა მთელ ქალაქს, ამტვრევდა შუშებს ებრაელთა სახლებში და იტაცებდა ქონებას. მეორე დღეს არეულობა უფრო გაძლიერდა. რამდენიმე ადგილას ცხარე შეტაკება მოხდა. ხალხი ხმარობდა ჯოხებს, ქვებს, რკინის ლომებს და ისროდნენ რევოლვერებს. მოკლულ იქმნა 25 კაცი, მძიმედ დაჭრილთა რიცხვი—75-დეა და მსუბუქად—200. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ქ. კიშინევში და კიშინევის მაზრაში გაძლიერებული დაცვაა გამოცხადებული.

— პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის დარბაზში რუსთა ფილოლოგების (სიტყვიერების მკვლევართა) კრება მოხდა. კრების საგანია—მომავალ სლავიანთა ფილოლოგებისა და ისტორიკოსების კრებისათვის პროგრამის მომზადება.

— შავი ზღვის სამხედრო ფლოტის უფროსმა ვიცე-ადმირალმა სკრიდლოვმა განიხილა საქმე ჯავშნიანი გემის „ჩესმა“-დან გაგზავნილ ნავის შესახებ, რომელიც დაიღუპა და 10 ზღვაოსანი იმსხვერპლა. ბ. სკრიდლოვის განჩინებით საზღვაო-სამხედრო სამართალში არიან მიცემულნი: უფროსი ოფიცერი და ვახტის და გემი „ჩესმას“ უფროსები.

უცხოეთი

მაკედონია. სოფიის „დნიურში“ დაბეჭდილია ერთ განათლებულ მაკედონელ მეამბოხის მიერ მეამბოხეთა ბანაკიდან მეგობართან მინაწერი ბარათი.

რომ მკითხველმა უფრო ნათლად გაითვალისწინოს, თუ რა თავდადებით იბრძვიან მაკედონელნი თავისუფლების მოსაპოვებლად, აქვე მოვიყვანთ ამ ბარათის შინაარსს:

პოპოვოს ტბა (პირინის მთა) მარტის 23-ს, 1903 წ. ძვირფასო ე—ვო! შენის წერილებიდან ცხადადა სჩანს, რომ შენ მეტადა გსურს დაწვრილებით იცოდე ყოველივე მეამბოხეთა ყოფა-ცხოვრების შესახებ. მე გულით მინდოდა შენი წყურვილი დამეკმაყოფილებინა და, აი, ძლივს ვიშოვე თავისუფალი დრო.

ამ ბარათის წერის დროს მე ვიმყოფები ჩემის ამხანაგებით პირინის მთის მწვერვალზედ, პოპოვოს ტბის მახლობლად, მდინარე მესტისა და სტრუმის შუა მდებარე ქედზედ აქედან მოსჩანს დასავლეთით ვერცხლივით მოლაპლაპე სტრუმა და აღმოსავლეთით—მესტა. შენ ხომ კარგად იცი, მე რომ შემოდგომაზედ ამბოხების დროს მსუბუქად დამსჭრეს, მაგრამ მაინც შევძელ მთელი ზამთარი მეამბოხეებთან მაკედონიის მთებში გამეტარებინა.

ეხლა სრულიად ჯანსაღადა ვარ. შენა მწერ,—შენი მეუღლე დიდად დარდობს უშენობას და არც იცის, ცოცხალი ხარ, თუ მკვდარიო. მწერ—ეს დარდი მას სულსა და გულს უხუთავს, როცა პატარა კირილე ეკითხება: „დედავ, როდის მოვა მამილო სოლუნიდანაო“ ნუგეში ეც ჩემს მეუღლეს და ურჩიე, დარდს ნუ მიეცემა, და ჩვენს ბავშვს კარგათ მოუაროს. მამულიშვილური მოვალეობა მაბრძოლებს ჩემის სამშობლოს ხუთ საუკუნის განმავლობაში მტანჯველთა წინააღმდეგ. მე მზადა ვარ სისხლით შევღებო მისი ველ-მინდორი, ოღონდ კი მას თავისუფლება მიენიჭოს. თუ ამ სისხლის ღვრას ცოცხალი გადვურჩი, იარაღს მხოლოდ მაშინ დავყრი, როცა მოვიპოვებთ იმ თავისუფლებას, რომლისთვისაც შევფიცე ვიბრძოლო, სანამ პირში სული მიდგია. რადგანაც ჩვენ იარაღისა და პატრონების მეტი არა გვაბადია რა, ვუგზავნი ჩემს მეუღლესა და ბიჭიკოს პირინის მთებზედ მოკრეფილ ყვავილების კონას.

ამ უკანასკნელ დრომდე მთელს მაკედონიაში მხოლოდ სამუდამო ჯარი იდგა, სათადარიგონი კი დროებით დათხოვნილნი იყვნენ; ეხლა ისინიც შეჰკრიბეს და მოამზადეს საბრძოლველად. ოსმალნი მკვიდრნი დაღონებულნი არიან. მომავლის საიდუმლოება მათ დიდათ აფიქრებს. ოსმალნი ყოველსავე ბედის წერაზე ამყარებენ. იგინი გაიძახიან: „რაც მოსახდენია, მას ვერ ავცდებითო“.

ჯარის კაცები ვერ ჰბედავენ გლეხთა სახლებში შესვლას; ყველა ბულგარს ისინი მეამბოხედა სთვლიან. მეამბოხეებმა ოსმალები მეტად შეაშინეს. როცა სადმე შეგვხვდებიან, ვერ გაგვიბედვენ ხოლმე თოფის სროლას, სანამ სხვა ჯარი არ მოეშველებათ. ამ ორიოდე დღის წინად ჩვენ რუპელის ფერდობებზე გავიარეთ; აქ თვალი შეგვასწრო ერთმა ცხენოსანთა რაზმმა ორმაც ქვეითა ჯარისამ. ჩვენ გვეგონა, თუ შეგვებმოდნენ, და სანგლებში ჩავსაფრდით. წარმოიდგინე ჩვენი გაკვირვება, როცა ოსმალებმა მხარი აგვიქციეს და არხეინად გაუდგნენ გზასა. ესეც უნდა სთქვას კაცმა, რომ, შეიძლება ოსმალებმა იფიქრეს—იმ სიმაგრეებში შეფარებულთ ვერას დავაკლებთ, რადგან, მართლაცა და, კარგად ვიყავით გამაგრებულნი: შემოდგომის აჯანყების დროს მოხუცი სარდალი დედო-კუტრული ერთ მუჭა ჭაბუკებით ოც დღეს ებრძოდა ამ სიმაგრიდან მძვინვარე მტერს. დანამდვილებით-კი ვერას ვიტყვი და მგონია-კი, რომ ჩვენთან შეხვედრის დროს ოსმალთა ჯარის ასეთი საქციელი მიეწერება ამ ჯარში მყოფ რამდენსამე გენერალურ შტაბის ოფიცერთა და ორ გერმანელ ოფიცრის წინ დახედულ მოქმედებას. აი, ეხლაც, ამ ბარათის წერის დროს, ჩვენს მარცხნივ, მიდის ოსმალთა რაზმი და ხმასაც არა გვცემს. გზა მშვიდობისა მისცეთ ღმერთმა! რომ იცოდე, რა კარგადა ვგრძნობ აქ თავს, 40—50 ვაჟკაცთა შორის, რომელნიც შეუპყრია ერთსა და იმავე აზრს: ვიბრძოლოთ სამშობლოს განსათავისუფლებლადო.

ჩვენ იშვიათად ვიცვლით ბინადრობას: ღამეში მხოლოდ ოთხ საათს დავდივართ. სურსათს გვაწვდიან როგორც ქრისტიანნი, ისე ოსმალნიცა. ბევრს ადგილას ოსმალნი გულწრფელად გვეპყრობიან და სცდილობენ როგორმე გვასიამოვნონ. ამისათვის ჩვენც პატივსა ვსცემთ მშვიდად მცხოვრებთ და არავითარ ზარალს არ ვაძლევთ. მთელს მაკედონიაში გლეხობა მეტად სტუმართ-მოყვარენი არიან. იმ დღეს მე ერთ წერილსა ვგზავნიდი სხვაგან; როცა იფრინდა მიდიოდა, მოხუცმა გლეხმა უთხრა: „შენის ცოცხალის თავით ეგ წერილი ხელთ არავის ჩაუგდოვო“.

მცხოვრებნი მოუთმენლად ელოდებიან საერთო ამბოხების დაწყებას. მათ გადაწყვეტილი აქვთ იბრძოლონ მედგრად თავისუფლების მოსაპოვებლად.

ყველგან, სადაც გაივლი, ამას გაიგონებ: „რაც მოსახდენია, ბარემ ამ ზაფხულს მოხდესო. ჩვენთვის არაა ცხოვრება, რაც ძალი და ღონე გვაქვს, ვიბრძოლოთ“-ო. (კურსივი წერილის ავტორისაა)“.

შენი მ—ვი.

პარიჟი (წერილი მე-19)

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ტაძარი წმ. სევერიანისა.

სწორედ კლიუნის ბაღის გასწვრივ ს.-ჟერმენის ბულვარიდგან იწყება პატარა ქუჩა, რომლის ბოლოშიაც რამდენიმე მაღალი შენობა მოსჩანს. მაგრამ მიუახლოვდებით თუ არა ამ შენობებს,—წინ გადგეშლებათ მრავალი ვიწრო, ბნელი და დახლართული ქუჩა. ყოველსავე სიძველის დაღი ასვია და სიბნელითაა მოცული მთელი გარემო. აი, მაგ., პირველი ქუჩა „Parcheminerie“-ისა, რომელიც უაფრად უერთდება ზემოხსენებულ ქუჩას, სიგანით 6 ადლი ექნება და მის იქით-აქეთ კი 6 და 7 სართულიანი შენობებია აღმართული; მერმე რა შენობები: გახუნებული და გამტვერიანებული, ჩაბნელებულის ფანჯრებით, რომელსაც ალაგ-ალაგ შუშის მაგივრად ქაღალდი აქვს გაკრული.

ძირს—პირველ სართულში მოთავსებულია ან სამიკიტნო, ან ძველ ავეჯეულობის სავაჭრო, სადაც შეგროვილია აუარებელი დამტვრეული სკამი, ნაირ-ნაირი ფეხებ დამტვრეული მაგიდა, გახუნებული და გაცრეცილი სავარძლები და სხ., ან კიდევ ყასაბს, თუ ბაყალს გაუმართავს თავისი სავაჭრო.

იმდენად მიბნელებულია იქაურობა, რომ არამც თუ მზის სხივსა და მთვარის შუქს ვერაოდეს ვერ იხილავთ, ცის სინათლეც-კი ძლივს ატანს იმ ვიწრო ჯუჯრუტანაში, რომელიც ამ მაღალ შენობებს შუა დარჩენილა. თუ ამ ქუჩას გაჰყვებით, მარჯვნივ გადუხვევს მეორე ქუჩა „rue des Prêtres S.-Severin“, რომელიც ბევრით არაფრით განსხვავდება იმ უბნის ქუჩებისაგან,—ვიწრო, მრუდე და ჩაბნელებული; მაგრამ მიაღწევთ, თუ არა მოსახვევს,—სრულიად მოულოდნელად თქვენს თვალ წინ აღიმართება ლამაზი, ძველებური საყდარი, მაღალ სამრეკლოთ კოშკითა და ლაზათიან, გოტიკურ ხელოვნების კარებით. როდესაც ამ შენობას შეჰყურებთ, უნებურად გაგონდებათ ძველი წარსული, იმდენად თავისებური და შეუხამებელია იგი ამ არემარისათვის.

ეს საუცხოო ნაშთი ძველ დროთა საუკეთესო მოწმეა წინაპართა ცხოვრებისა, მათ შეხედულებათა, რწმენათა, ხელოვნების მოთხოვნილებისა და გემოვნებისა.

ის გარემოება, რომ გარშემო ბნელი და ჭუჭყიანი შენობები აკრავს, სწორედ აორკეცებს ამ საყდრის შნოსა და ლაზათს; თუმცა დიდი განსხვავებაა ამ თავისებურ, იშვიათ ხუროთ-მოძღვრების ნაწარმოებსა და ბნელ, ერთფეროვან, ხუროთ-მოძღვრებას სრულიად მოკლებულ შენობებს შორის, მაგრამ მაინც ერთი საზოგადო თვისება აქვს ყველას საერთოდ,—სიძველე. რაც უფრო უკვირდებით ამ საყურადღებო უბანს, გგონიათ, რომ მთელ არემარეს ამ საყდრის შენობის თვისებანი მიუღიათ, და ეხლანდელ პარიჟში-კი არა ჰგრძნობთ თავს, არამედ იმ პარიჟში, რომელიც ამ რამდენიმე საუკუნის წინად უნდა ყოფილიყო. პატარა და ვიწრო ქუჩების წყალობით ეს საყდარი ბევრად უფრო დიდად გეჩვენებათ, ვიდრე მაშინ გამოჩნდებოდა, გარშემო რომ განიერი ქუჩები რტყას.

ამასთანავე ვიწრო, მრუდე და ბნელი ქუჩები უცილობელი საკუთრებაა ძველ დროთა, და შეუძლებელია შუა საუკუნოების ქალაქი უიმათოდ წარმოიდგინოს კაცმა. ამიტომაა, რომ ყველა საერთოდ—საყდარი, ვიწრო ქუჩები, ბნელი შენობები—ძველ დროის პარიჟის უბანს წარმოადგენს, ასე მე-XIII, თუ მე-XIV საუკუნისას. მაგრამ, თუ შიგ საყდარში შებრძანდებით, არამც თუ გარეგნობა ძველის პარიჟისა, თვით მაშინდელის დროისა შინაგან, სულიერ ვითარებასაც-კი იგრძნობთ. შიგნით, უბრალო ხელოვნების სვეტებზედ, რომელნიც ხუთ ნაწილად ჰყოფს საყდარს, გადაყვანილია ცის თაღები; ოდნავ განათებულ სივრცეში მეტად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა არა სწორ-უპოვარი, მაგრამ მაინც იშვიათ ხელოვნების მხატვრობა დიდროვან ფანჯრების შუშებზე; უნებურად მოიცავს თქვენს არსებას ღვთის მოსაობა და გიპყრობთ გრძნობანი, რომელნიც ოდესმე განუცდია უამრავ ხალხს; ამ თაღთა შორის ცხადად გრძნობთ ადამიანთა რწმენას, მათ ბუნდოვან წარმოდგენას საუკუნო სასუფეველის შესახებ, შიშსა და ძრწოლას ჯოჯოხეთის წინაშე, მათ წადილთა და ლოცვათ. და არა მარტო რწმენათა, რამდენადმე მათ დროს გატარებასაც-კი ითვალისწინებს კაცი. განა საფიქრებელი არაა, რომ ამ უბანში,—სადაც ასე ვიწრო ქუჩებია, მეიდნები სრულიად არ მოიპოვება, როცა ბულვარები და ბაღები არ იყო გაშენებული—ეკლესია უნდა ყოფილიყო იმ საკრებულოდ, სადაც ხალხი თავს იყრიდა, ერთმანერთს ნახულობდა, სხვა-და-სხვა ამბებს ტყობილობდა. სალაყბოც ხომ ბევრი ექნებოდათ; იმ დროს ხომ გაზეთი არ არსებობდა, რომ მსჯელობა ჰქონოდათ პოლიტიკის შესახებ; იმ ხალხმა, რომელიც ჩვეულებრივ თითქმის არა ჰშორდებოდა თავის უბანსა, რასაკვირველია, არა იცოდა-რა, თუ რა ხდებოდა მის გარეშე. სამაგიეროდ ზედ-მიწევნით იცოდა თავის უბნის ამბავი; ან-კი როგორ გამოეპარებოდა რამე, როცა ისე ახლოს იდგნენ ერთმანერთზე, კარო-კარში. ეჭვს გარეშეა, რომ მითქმა-მოთქმასა და ჭორიკანაობას დიდი ადგილი ექმნებოდა დათმობილი. თუ კი ვისმე გაიგულვებდნენ, მოსდგებოდნენ და უბად აიღებდნენ, საქვეყნოდ გამოჰფენდნენ მის ავ-კარგსა. თუ დამსწრეთა შორის აღმოჩნდებოდა უცხოელი, მოგზაური, ან დაშორებიდგან დაბრუნებული, (თუ წმინდა ქვეყნიდგან იქნებოდა)—რა გამოუთქმელი ცნობის მოყვარეობა აიტანდა ყველას. წირვის, თუ ლოცვის დასრულებისათანავე შემოეხვეოდნენ გარსა და დაუწყებდნენ მოუთმენლად გამოკითხვას; რასაკვირველია, საყდრის გალავანში დაწყებული ბაასი უმეტეს ნაწილად იქვე მახლობელ სამიკიტნოში (მაშინ ერთად-ერთი იყო) დამთავრდებოდა. რამდენად შეიცვალა მას შემდეგ ცხოვრება, რამდენად შორსა სწვდება ეხლანდელ ადამიანის თვალთა-ხედვის ისარი; მისი აზრი უკანა სტოვებს ზღვასა და ხმელეთს და საოცარის სისწრაფით ითვალისწინებს, რაც ქვეყნიერობაზედ ხდება. ვინ იცის, რამდენ რას არ გადმოგვცემს ძველი ნაშთი თავის მჭერ-მეტყველ დუმილით; რას არ მოგვითხრობს ყოველი მისი სვეტი, ან წყვდიადით მოცულნი თაღნი, ან კიდევ მისი უცხო მხატვრობა მორთული შუშები.

ვ. ხუდადოვი.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. კვირას, 14 აპრილს, ბ-ნ ვ. ბალანჩივაძის რეჟისორობით, სცენის მოყვარულთა და ზოგიერთ არტისტების მიერ წარმოდგენილ იქმნა „სამშობლო“. წარმოდგენამ საზოგადოდ სუსტად ჩაიარა. მაყურებელს უფრო ის უკლავდა გულს, რომ არც ერთ მოთამაშეს არ ეტყობოდა მეცადინეობა კარგად თამაშობისა და არც ერთმა როლი არ იცოდა ხეირიანად, რის გამოც ჯერ სუფლიორის ხმა გვესმოდა და მერე მოთამაშისა. ბ-ნ რეჟისორს ძალიან კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ისეთის ძალ-ღონით, რომელიც ამ წარმოდგენაში იღებდა მონაწილეობას, ყოვლად შეუძლებელი იყო რთულის პიესის რიგიანად წარმოდგენა. ასეთი წარმოდგენები უფრო დააფრთხობენ მაყურებლებს. ამისათვის, არ იქნება ურიგო, ხელს მოჰკიდებდნენ ისეთ პიესებს, რომლის წარმოდგენისთვისაც შესწევთ ძალა, თორემ ყოველთვის კოკა წყალს არ მოიტანს. რეკლამისებური აფიშები გამოაკრეს და გამოაცხადეს მონაწილეობას მიიღებენ არა ნაკლებ 150 კაცისაო; წარმოდგენილი იქნება შეუმოკლებლად და ყველა სურათებიათაო, და რა გამოვიდა? ისევ შემოკლებული ეთამაშნათ და კარგად, ისა სჯობდა პიესის დამახინჯებას. ხალხი აუარებელი დაესწრო ამ წარმოდგენას, მაგრამ, რა ნახეს პიესის ასეთი დამახინჯება და მოთამაშეების წარმოდგენისადმი გულგრილობა, ბევრნი მათგანი გათავებამდე წავიდ-წამოვიდნენ გულ-დაწყვეტილნი.

Alliense.

ნარკვევი

სატახტო ქალაქის გაზეთები მსჯელობენ ჩვენი სასკოლო სისტემის ნაკლულევანებათა შესახებ. „Нов. Вр. აზრით,

> უმაღლეს სასწავლებელში კურს-დასრულებულ სპეციალისტთა პრაქტიკულ მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად საჭიროა შემოკლდეს უქმე დღეებით. უნივერსიტეტები ახლა საშობაო დღესასწაულის დროს სამი კვირით არიან ხოლმე დახურულნი და ზაფხულში სამის თვით. შუა რიცხვით დღეში ოთხ ლექციაზე მეტს არ კითხულობენ უნივერსიტეტში, და სტუდენტებს ბევრი რჩებათ თავისუფალი დრო. გერმანიაში მაგალითად ზაფხულშიაც კითხულობენ ლექციებს, იქ ეგრედ წოდებული საზაფხულო სემესტრებია შემოღებულიო.

გაზ. „Нов. Вр.“-ს მსჯელობა მექანიკურ-გარეგნულია. პირველი საქმე სწავლების ღირსებაა ადამიანის აღზრდა-განათლებაში და არა გაკვეთილების რაოდენობა. ამ მხრით გაზეთი „Новости“-ს აზრი უფრო საფუძვლიანია.

> ის-კი არ არის სავალალო, რომ ჩვენ მოსწავლეთ ბევრი თავისუფალი დრო რჩებათ, არამედ ის, რომ მოწაფეს თორმეტი წლის განმავლობაში გრძნობა-გონებას უხლუნგებენ, ყმაწვილმა კაცმა უნდა შეითვისოს მკვდარი მასალა, ცხოვრებაში გამოუყენებელიო.

მართლაც, ვისაც გიმნაზიის კურსი გაუვლია, უფრო იმ აზრს უნდა მიემხროს, რომ „სიმწიფის ატესტატის“ მქონე ყმაწვილს, საშუალო სკოლის სისტემით გამოთქმულს, ლექციებს მომატება-კი არ სჭირია, არამედ გონზედ მოსვლა, მოსულიერება. გიმნაზიაში კურს-დასრულებული ყმაწვილი უნივერსიტეტში შედის, რომლის შესახებ წინ და წინვე აქვს ხოლმე შემდგარი აზრი, სულიერი განათლების წყაროდ მიაჩნია იგი. უნივერსიტეტი მალე გაუქარვებს ხოლმე ყმაწვილ კაცს ამ ტკბილ ოცნებას. უნივერსიტეტში დღეს გამეფებულია მეცნიერება, ჩინოვნიკურ ვიცმუნდირში გამოწყობილი. დღევანდელ პროფესორთა უმეტეს ნაწილის ლექციებს სიცოცხლე არ ეტყობათ. თითქო რაღაც მძიმე მოვალეობას ასრულებენ და სცდილობენ მალე მოიშორონ იგი თავიდან. ამ მხრით გიმნაზია და უნივერსიტეტი მტკიცე ჯადოსნუ-

---

თანავე ძვირად მინახავს ისეთი ადგილი, რომ ასე ცოტა დურგალი და კალატოზი იყოს გლეხთა შორის, როგორც აქ. გლეხს თავის ხელით არ შეუძლიან გააკეთოს არაფერი, ყველაფერზედ ფული უნდა გაიღოს. ეს მიზეზიც ზედ ერთვის მამა-პაპისეულ ჩვეულებას და ორივე ერთად ხელს უშლიან კახელს აიშენოს ისეთი სახლი, რომ კულტურის მცირეოდენი ნასახი მაინც ეტყობოდეს და არა ისეთი, რომელიც მრავალ მსხვერპლს იწირავს თავის მოუწყობილობის გამო ჰიგიენის მხრივ.

რაც შეეხება სასმელ-საჭმელს ზოგიერთ სოფლებში, მეტადრე უკანა-მხარში, უმეტეს ნაწილად მხოლოდ გაურეცხელ, მიწა-ნარევს და თან გაუმტკიცავ პურსა სჭამენ. მიზეზი ამისი, რამდენადაც სიღარიბეა, იმდენად ჩვეულებაა. შეუძლებელიც და შეძლებულიც ორივე ერთგვარად ეტანება ამგვარ პურს, რომლის ერთი ლუკმის ჩაყლაპვაც-კი დაეზარება შეუჩვეველს.

ახლა ვკითხოთ, საიდან ექმნება ღონე კახელს, დასნეულებულს მალარიით, ლოთობით, უსახლობით და უსაქმელობით?! ზემოიმერელსა და რაჭველს, მაგალითად, ბევრად მეტი მუშაობა შეუძლია,ნ ვიდრე სიღნაღის მაზრის მცხოვრებს.

ამგვარ გარემოებაში კულტურული ზრდა-წარმატება, ცხადია, შეფერხებულია. ხალხი გადაშენების გზას ადგია. საჭიროა თვალი ავახილოთ, ძილი უკუ ვაგდოთ და საერთო ძალ-ღონით წინაღვუდგეთ ხსენებულ განმანადგურებელ მიზეზებს.

ზემო-ნათქვამიდგან სჩანს, რომ სიღნაღის მაზრას ამხანად შემდეგი აუცილებელი საჭიროებანი აქვს დასაკმაყოფილებელი. 1) საჭიროა, რომ დაშრობილ იქმნას ჭაობები ალაზნის პირად, აღმზრდელი და გამჩენელი კოღოებისა, რომელნიც ითვლებიან მალარიის მიზეზად 2) საჭიროა დაარსდეს სახელოსნო სასწავლებლები რომ მცხოვრებლებმა შეისწავლონ ხუროობა ღ სხვა-ღ-სხვა გვარი სასარგებლო ხელოსნობა. 3) საჭიროა დაარსდეს სამეურნეო სადგურები ღსხვ., რომ აყვავდეს ინტესიური მეურნეობა. მარტო ღვინით ვერ იცხოვრებს კაცი. საჭიროა გავრცელდეს საკვებ ბალახის თესვა და მერძეობა და სხვა-და-სხვა გვარი სამიწათმოქმედო კულტურა. 4) საჭიროა საზოგადო განათლება, სკოლები, ბიბლიოთეკები, თეატრი, რომ ლოთობის ადგილი დაიჭიროს კეთილშობილმა დროს ტარებამ.

რა დაწესებულებას შეუძლიან მიანიჭოს მაზრას ყოველივე ეს? რასაკვირველია, იმ სასარგებლო დაწესებულებას, რომელმაც კარგა ხანია, რაც რუსეთის შიდა გუბერნიებში დაამტკიცა თავისი ნაყოფიერობა და რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ ჩვენში არ არის შემოღებული,—ერობას. დამტკიცება არ ეჭირვება, რომ ეს დაწესებულება, თუ კი ოდესმე გვეღირსა, ალაყვავებს ჩვენს ქვეყანას ყოვლისმხრივ.

ბუნებას უხვად დაუბერტყია თავისი კალთა ჩვენს ქვეყანაში. საჭიროა მხოლოდ საზოგადო ორგანიზაციის ძალა, რომ ბუნების ეს სიუხვე ჩვენთვის სიმდიდრედ შეიქნეს.

მაშ, ჩვენში სამეურნეო კომიტეტებმა და თავად-აზნაურობამ, თუ სურთ რამ დახმარება გაგვიწიონ, თავის მთავარ მოვალეობად ხსენებულ დაწესებულების მოპოება უნდა დასახონ.

მეორე დაწესებულება, რომელსაც აგრეთვე დიდი და მრავალგვარი მნიშვნელობა ექმნება ჩვენის სოფლის მეურნეობის აყვავებისა და, საზოგადოდ, კულტურული ზრდა-განვითარებისათვის, არის სამელიორაციო კრედიტი, რომლის წესდებაც, ჩვენის სოფლის საჭიროების შესაფერი, ვფიქრობ წარვუდგინო ქართველ საზოგადოებას ახლო ხანში.

კრედიტიც უდიდესი საზოგადო ძალაა, რომელიც ძლიერ აბრკოლებს კულტურულ ზრდა-განვითარების გზას და გვიახლოვებს სასურველ იდეალს. კრედიტი ძალით და მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება არც ერთ სხვა საზოგადო დაწესებულებას. იგი ის ღერძია, რომელზედაც ტრიალებს თანამედროვე ეკონომიური ცხოვრება, ამიტომაც არის, რომ როდესაც ეს ღერძი ხანდახან ოდნავ გაიბზარება, საშინელი სავაჭრო და სამრეწველო კრიზისი დადგება ხოლმე.

აი, ის ორი დაწესებულება, რომლის მოპოებასა და დაარსებასაც უნდა ვეცადოთ ყოველის ღონით, თუ გვსურს ჩვენი ქვეყანა აყვავდეს, როგორც ეკონომიურად, აგრეთვე გონებრივად.

ვასილ წერეთელი.

რი ჯაჭვით არიან ერთმანეთზე გადაბმულნი, ერთ ჯადოსნურ წრეში ტრიალებენ. გიმნაზია-უნივერსიტეტში გაწვრთნილი, მკვდარი მასალით დატვირთული ადამიანი საპროფესორო კათედრაზე ადის, ადამიანის განმანათლებელი მოძღვარის ადგილი უნდა დაიჭიროს. მაგრამ ეს შეუძლებელია მისთვის, რადგანაც საამისო სულიერი ძალ-ღონე არ შესწევს. მთელი დღევანდელი სასკოლო სისტემა სჩაგრავს ადამიანის სულსა და სხეულს, და შემდეგ დიპლომს აძლევს ხელში, ცხოვრებაში დასაყრდნობ ყავარჯენად.

—

ახალი სისხლის სამართლის დებულებით, სასამართლოს უფლება ენიჭება, სასჯელში ჩაუთვალოს დამნაშავეს ის დრო, რომელიც მან განსამართლებამდის საპატიმროში დაჰყო.

ამის შესახებ გაზ. „Русск. Слово" სწერს:

სასამართლოს შეუძლიან ეს დრო ან ჩაუთვალოს, ან არ ჩაუთვალოს დამნაშავეს. ზოგიერთ ევროპიულ სახელმწიფოებში-კი (შვეიცარიაშია იტალიაში და ბელგიაში) ამ დროს სასჯელში ჩათვლა სავალდებულოა სასამართლოსათვის.

მართლაც ადამიანის გრძნობისა და გონების წინააღმდეგია ეს უცნაური „უფლება". დღეს დამნაშავე, განსამართლებამდის, უკვე სასჯელს ითმენს, სატუსაღოშია დამწყვდეული, სადაც ზოგჯერ კარგა ხანს აწვალებენ ხოლმე, სანამ სასამართლო მის საქმეს გაარჩევს; ახალი სისხლის სამართლის დებულება-კი მხოლოდ უფლებას აძლევს სასამართლოს დამნაშავეს ახალ სატანჯველში განვლილი სატანჯველი ჩაუთვალოს. ამ ჰუმანიურ „უფლებაში" ნათლად გამოიხატება დღევანდელი ქრისტიანობა.

—

საქართველოს ეგზარხოსის მოსვლის მოლოდინში „ჩერნომორსკი ვესტნიკი" სწერს:

მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ალექსი, ჩვენის მხრის ერთის უღირსეულესის სასულიერო მოღვაწის დეკანოზის იოანე ვოსტორგოვის თანხლებით, მოივლის ამ დღეებში ქუთაისს, ოზურგეთს, ბათუმს და ფოთს. ეგზარხოსი პირადად გაიცნობს ამ ქალაქების სასულიერო-საადმინისტრაციო საქმეების ვითარებას და აგრეთვე ტაძრებისა და სამრევლო სკოლების მდგომარეობას და სხვ.

მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ალექსი ჭეშმარიტი რუსი, სულიერი მწყემსია და, თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც ამიერ კავკასიაში ბძანდება, მხურვალე მზრუნველობა გამოიჩინა ჩვენის მხრის მართლ მადიდებელ მცხოვრებთათვის.

ამ დახასიათების შემდეგ გაზეთი ფრიად საყურადღებო ახალ ამბავს გვაუწყებს.

მისის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის მობძანებას დამოკიდებულება აქვს ბათუმის ცალკე ეპარქიის დაარსების პროექტთან. ეს ეპარქია შესდგება სამეგრელოსი, სვანეთისა და ბათუმის და ართვინის მაზრებისაგან. გურია-კი როგორც ისმის, იმერეთის ეპარქიას მიეთვლება.

ნარევი და ნაკვესი

ზოგი რამ ტყუპების შესახებ: ინგლისელმა სწავლულმა გალტონმა ტყუპების შესახებ საინტერესო ცნობები შეკრიბა. ბევრს ტყუპების მშობლებს და აღმზრდელებს გაუგზავნა წერილები ფურცლებით და სთხოვა ფურცლებში აღნიშნულ კითხვებზედ ეპასუხნათ. რამდენიმე ხნის შემდეგ გალტონს დაგზავნილი ფურცლები ჩაწერილის ცნობებით დაუბრუნდა და აი, რა აღმოჩნდა, სხვათა შორის, ამ ცნობებიდგან:

ბევრნი ტყუპნი ერთმანეთს ძალიან ჰგვანან, ზოგის მსგავსება-კი ისეთი ყოფილა, რომ მათ ერთურთში მხოლოდ მშობლები არჩევენ, და გასარჩევად პატარაობიდგანვე ყელზედ სხვა-და-სხვა ფერ ლენტებს აბამდნენ, და მაინც კიდევ სცდებოდნენ მათს გამოცნობაში. ერთს დედას, თავის ტყუპებს რომ აბანავებდა, ისე აერია შვილები, რომ ვერ გამოეცნო რომელი იყო ფრიცი და რომელი განსი; ეს შეცდომა შემდეგშიც ვერ გამოირკვა და მთელს მათს სიცოცხლეში გადაწყვეტით ვერავის ეთქვა: ეს ფრიცია და ეს-კი განსიო.

ერთი მხატვარი სამის წლის ტყუპების სურათს ხატავდა. ავადმყოფობის გამო რამდენიმე ხნით მუშაობის შეწყვეტა მოუხდა და ხელახლა ხატვას რომ შეუდგა, ველარ გამოეცნო რომელ ტილოზედ იყო დახატული კლერხენი და რომელზედ გრეტხენი. ესეც ხშირად მომხდარა, რომ ერთის ტყუპის მაგიერი დანაშაულობისათვის მეორე დაუსჯიათ; ერთ ავადმყოფ ტყუპის მაგიერ, მეორისათვის უწამლიათ. მშობლები ერთმანერთ მსგავს ტყუპებს შემდეგშიაც ძლივს არჩევდნენ ხოლმე, მასწავლებლები კი მუდამ სცდებოდნენ მათს გამოცნობაში, მეტადრე თუ ტყუპებს ერთნაირი ტანისამოსი ეცვათ. ორი ტყუპი—და თავიანთ მუსიკის მასწავლებელს ხშირად ატყუილებდნენ ხოლმე, როცა ერთმა გაკვეთილი არ იცოდა, მის მაგიერ მეორე უგებდა თურმე გაკვეთილს.

ყველასათვის ცხადია, რომ ბავშვები წამოიზრდებიან თუ არა თავიანთ მშობლებს სცნობენ, მაგრამ აი, რასა სწერს ერთი გათხოვილი ქალი, რომელსაც დედა ტყუპის ცალი ჰყოლია: „პირისახე, ტანის მოყვანილობა, ხმა, მიხვრა-მოხვრა დედაჩემს ისე უგავდა თავის დისას, რომ ბავშობაში დეიდა დედა მეგონა ხოლმე, და როცა ორივენი ერთად იყვნენ, მეგონა, ორი დედა მყავსო". ერთი ტყუპის ცალი კაცი სწერს: „მე და ჩემი ძმა ისე ვგვანდით ერთმანეთს, რომ ჩვენი შვილები, სანამ ხუთი-ექვსი წლისანი არ შეიქნენ, ერთმანერთში ვერ გვარჩევდნენო.

ორ ძმა-ტყუპს ერთი ქალი შეუყვარდათ; ერთმა მათგანმა ცოლად ითხოვა და თანხმობაც მიიღო. მეორემ ცბიერებას მიჰმართა და თავისი სასძლო ცოლად ითხოვა; ქალმა მიუგო: აკი გითხარი შენს მეტი ქმარი არავინ მინდაო. ქალს ეგონა თანხმობას ვუმეორებ ჩემს საქრმოსაო და იმას კი ვერ მიმხვდარიყო, რომ თავის მაზლს ელაპარაკებოდა. ბოლოს ქალს ვერ გამოეცნო, რომელი იყო მისი საქრმო—პირველი თუ მეორე.

გალტონმა შენიშნა, რომ ზოგიერთ ტყუპებს ერთნაირი ფიზიკური ნაკლულევანება აქვთ, მაგალითად: სიბერეში ერთნაირად ეგრიხებათ ხელები; სხვებს კიდევ ერთ და იმავე დროს ერთი და იგივე კბილები დაუწყებთ ტკივილს; აგრეთვე ერთ დროს თმა სცვივათ, ერთნაირი ავადმყოფობა ემართებათ, ერთ და იმავე დროს ჰკვდებიან. ერთი ტყუპების მშობელი კიდევ აი, რას მოგვითხრობს: ჩემი ტყუპი შვილების ჯანმრთელობა სწორედ სასაცილოა, საკმარისია ერთს რამე ეტკინოს, რომ რამდენისამე დღის შემდეგ იმავე სატკივრით მეორეც ავად გამიხდეს; ამასთანავე ერთსა და იმავე დროს რჩებიანო. ასე იყო, როცა ისინი ყვავილით, წითელათი და მუცელათი გამიხდნენ ავადაო.

წერილი
რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო, როგორც ჩემის მხრით, ისე მრევლის მხრითაც, ტფილისის ხარფუხის ბერძნის, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელს ბენიამინ ბესარიონ მღვდლის ძე კონტრიძეს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამი ღეხტურის ღვთის მშობლის ეკლესიას ერთი გარდამოხსნა, ღირებული სამ თუმნად.

მღვდელი ნესტორ კონტრიძე.

დეპეშა
(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

16 აპრილი.

სტამბოლი. პორტამ განაცხადა, რომ საიმედო ცნობები მიუღია იპეკში გაგზავნილ კომისიისაგან და მარშალის ოზერ-რუშდისაგან. იმედი უნდა გვქონდესო, რომ ალბანიის ყველა თემები წინააღმდეგობას აღარ გაუწევენ რეფორმების შემოღებას და ახლო მომავალში სრული მშვიდობიანება ჩამოვარდებაო.

სოფია. „ბოლგარიის სააგენტოს" სიტყვით, გავრცელებული ხმა, ვითომც ოსმალთ და ბოლგარიის ჯარებს შუა საზღვარზედ შეტაკება მომხდარიყოს,—უსაფუძვლოა.

რომი. საზეიმო სადილზედ მეფე ვიქტორ-ემანუელმა წარმოსთქვა იტალიანურად სადღეგრძელო ინგლისის მეფისა, დედოფლისა და მეფის სახლობისა. მეფე ედუარდმა უპასუხა ინგლისურად და დალია იტალიის მეფისა და დედოფლის სადღეგრძელო.

მოსკოვი. დილას მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ და იმპერატორებით უმაღლესობათ დაათვალიერეს სინოდალური სტამბა; შესავალთან დაჰხვდათ სენატორი საბლერი, სტამბის გამგე და მოხელენი; მუშები და შეგირდები იდგნენ თავიანთის გუნდით და ორკესტრით. უფროსმა მუშამ აფანასიევმა მიართვა მათ უდიდებულესობათ ხატი, მუშების დახა[illegible] ორკესტრმა შეასრულეს ჰიმნი „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა". მათ უდიდებულესობათ დაწვრილებით დაათვალიერეს სტამბა, წიგნთსაცავი და მუზეუმი; პეტრე დიდის დასაბეჭდს დაზგაზედ მათ უდიდებულესობათა წინაშე დაიბეჭდა ტექსტი; ქვემო სართულში დაათვალიერეს სურათი მბეჭვდელის ივან ფედოროვის საფლავის ქვისა. აქედგან მათნ უდიდებულესობანი და მათნი უმაღლესობანი გაემართნენ პოკროვის საკრებულო ტაძრისაკენ, სადაც მიეგება სამღვდელოება, დაათვალიერეს ტაძარი და სალარო, ემთხვივნენ საფარველის ხატსა და ნეტართა ვასილისა და იოანნას ნაწილთა, მიიღეს დასალოცავად ხატი და წაბრძანდნენ ნოვო-სპასსკის მონასტერში.

ხარკოვი. სამკურნალო წყალთა სეზონი დაიწყება 14 მაისიდან.

ლონდონი. ლორდთა პალატა. სომალილენდის შეკითხვას მისცა რა პასუხი ლანდსდაუნმა, გამოაცხადა, რომ ღენერალ მანნიგს მიწერილობა გაეგზავნა იმის შესახებ რომ დაწვრილებით მოიწეროს ყველა იქაურ საქმეთა მდგომარეობის ამბები.

ბერლინი. იმპერატორს ვილჰელმს რომში მოგზაურობის დროს თან ახლდებიან გრაფი ბიულოვი და ღენერალ-ფელდმარშალი ვალდერზეე.

სტამბოლი. რადგან დამტკიცდა, რომ პორტ-საიდში რამდენიმე გახდა ავად ჟამით, ამიტომ სანიტართა საბჭომ გაგზავნა მიწერილობა პორტსაიდში მიმმოსვლელ ხომალდებს დეზინფენცია გაუკეთონ და 24 საათს თვალყური ადევნონ.

რომი. 15 აპრილს მეფე ედუარდმა, მეფე ვიქტორ-ემანუელთან ერთად, დაათვალიერა სხვა-და-სხვა ღირს-შესანიშნავი სანახავები ქალაქისა და საღამოს ჩიიღო სადიპლომატიო კორპუსი. საღამოს 8 საათზე გაიმართა სადღესასწაულო სადილი და სადილს შემდეგ არგენტინის თეატრში წარმოდგენა

17 აპრილი.

პეტერბურგი. უმაღლესი რესკრიპტი დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის სახელობაზე ნაბოძი: „თქვენო იმპერატორებით უმაღლესობავ! უფალმან მოგვანიჭა მე და ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულს დიდი ნუგეში, გაგვეტარებინა მოსკოვში ჩვენი შვილებითურთ დღენი ვნების კვირისა სასოებითის ერთობაში ჩვენს ერთგულ ხალხთან და მიგვეღო წმინდა ზიარება და სიხარულით მივეგებოდით ბედნიერ დღესასწაულს. წმინდა ეკკლესიის მადლიან საჩრდილობელში, ძველი კრემლის ზღუდეთა შორის მოსკოვის დიდებულ წმინდანთა და სამშობლო ისტორიის სახელოვან ძეგლთა შორის მე ვიკრებ ძალას რუსეთის წარსულის აღთქმისა და ხალხის გრძნობის გამოცხადებაში საყვარელი სამშობლოს სამსახურისათვის სულის ასეთს ვითარებაში მე ვგრძნობ გულითად მოთხოვნილებას, გამოგიცხადოთ თქვენს იმპერატორობითს უმაღლესობას და თქვენის საშუალებით ჩემს ძვირფასს მოსკოვს პატიოსანი გრძნობანი, იმ სანუგეშო და ცხოველმყოფელ დღეებისათვის, რომელნიც მე გავატარე აქა ჩემის სახლობით. გიცხადებთ აგრეთვე თქვენ უმაღლესობას ჩემს გულითადს მადლობას თქვენის დაუღალავისა და ნაყოფიერის მოღვაწეობისათვის ძველის სატახტო ქალაქის სიკეთისათვის და ამ ქალაქში დაცულს სამაგლითო წესიერებისათვის. ჩემდა სასიამოვნოდ დავრწმუნდი, რომ ამ წესიერების დაცვაში ამისათვის მოწოდებულ მოხელეთა გარდა თვით მცხოვრებნიც იღებდნენ მონაწილეობას. დავშთები თქვენდამი მარადის კეთილ-მოდრეკილი. ნამდვილზე მისი უდიდებულესობის საკუთარის ხელით დაწერილია: „თქვენი გულითადი მოყვარული და მადლიერი ნიკოლოზ".

სოფია. გაზეთები იუწყებიან, რომ 15 აპრილს სალონიკიდან 12 კილომეტრზედ, დედეაღაჩის რკინის გზაზედ ააფეთქეს მატარებელი, რომელსაც მოჰყავდა ოსმალთა ჯარის ბატალიონი —ცხარე ბრძოლა მოხდა ტროსკოვოს და დოკატინჩევის სიახლოვეს, ჯუმაისის მაზრაში. რამდენიმე მეჯუფთე, რომელნიც საზღვარს გადმოვიდნენ, ბოლგარიის პოლიციამ შეიპყრა.—ოსმალეთის მთავრობა იარაღს ხდის მაკედონიის მკვიდრთ.—15 აპრილს სალონიკის ახლო განიზრახეს დინამიტით აფეთქება სამხედრო მატარებლისა. ოფიციალურის ცნობით დანგრეულია ლოკომოტივი. კომიტეტთა მოხსენებით-კი მოკლულნი და დაჭრილნიც არიან.

მოსკოვი. 16 აპრილს მე-4 საათზე მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა მიბძანდნენ სტრასტნოი მონასტერში. საღამოს 7 საათზე მათი უდიდებულესობანი წაბძანდნენ მოსკოვიდან. მრავალის ხალხით აივსო ქუჩები, სადაც უნდა გაევლო ხელმწიფეს; ჯარები ჩამწკრივებულნი იყვნენ თავიანთი სამუსიკო ხოროებით. ვოგზალზე შეიკრიბნენ მანდილოსნები; რომელნიც მიღებულნი არიან სასახლეში. შინაგან საქმეთა მინისტრი, საპატიო ოპეკუნები, სარდლის თანაშემწე გენერალ-დიუტანტი დანილოვი, გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე ჰოფმეისტერი ბულიგინი, გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლნი, სამხედრო და სამოქალაქო უფროსნი, თავად აზნაურნი, წევრნი ქალაქის გამგეობისა, ხმოსნები და წოდებათა წარმომადგენელნი. ჯარისა და ხალხის შეუწყვეტელის „ვაშას" ძახილითა და სახალხო ჰიმნით გაცილებულნი, მათი უდიდებულესობანი წაბძანდნენ თავ-ახდილ ეტლით, ჩამოხდნენ ივერიის სამლოცველოსთან და ემთხვივნენ ღვთის მშობლის ხატსა. დიდი მთავარი დიდის მთავრინათი დაუხვდნენ მათ უდიდებულესობათ ვოგზალზედ. უავგუსტოესი შვილები მობძანდნენ ვოგზალზედ ერთი საათის წინათ. მათ უდიდებულესობათ ჩამოუარეს შეკრებილთ, მოწყალებით გამოესალმნენ და შებძანდნენ ვაგონში. მატარებელი დაიძრა საერთო „ურა"-ს ძახილით გაცილებული.

მოიკოვი. გრაფმა ორლოვ-დავიდოვმა მათ უდიდებულესობათა კეთილლობილთა თავ-შესაფარში მობძანების სახსოვრად შესწირა თავ-შესაფარს 50,000 მან.

სტამბოლი. ორი უკანასკნელი ბრძოლა ოსმალთა ჯარისა და მეჯუფთეთა შორის მოხდა ერთი—იუნუსის ახლო და მეორე—პეტრიჩის მაზრაში.

რომი. ინგლისის მეფის პატივსაცემლად გაიმართა დიდი აღლუმი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 20,000-ის ჯარის-კაცმა.

პეტერბურგის ბირჟა, 15 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,95
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	37,72 1/2
ბირჟის დისკონტი	5—6 1/2 %
4% სახელმწიფო რენტა	98 1/8 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . .	95 3/8 მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	439 1/2 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	339 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	300 1/2 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	90 2/8 გაყ.
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	—
4 1/2% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9875 გაყ.
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4225 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	409 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	203 წვ გაყ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

19 აპრილისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. პალტონ დადიანიძის, ლევან აფაქიძისა და ბურდღულიასა და ქვადისალა თადარადავოვების დავა.
2. თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა და თ. გიორგი ამილახვრის დავა.
3 შანახ ლაქერბაიას და გრიგოლ თიბიძის დავა.
4. ჯღვანატა ლაღულიასა და მოსე თაბანუხოვის დავა.
5. ეპიფანე ცაგარლისა და ალექსანდრე სარგიჯანსის დავა.
6. დავით და სხ. ამირაჯიბთა და ვასილ და ივანე მაჩაბელთა საქმე.
7. თეკლე იაკოვლევისა და მალაქია ჩოხონოლიძის დავა.
8. ნიკოლოზ მარიშევისა და დავით აბულაძის დავა.
9. იოსებ კასრაძისა და ნიკოლოზ ჯიოშვილის დავა.

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

როიალები პიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.

ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.
ბ. მ. მირიმანიანცისა.
МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
Б. М. МИРИМАНІАНА
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—6)

გამოვიდა და ისყიდება
ლედი ჯენ
ჯემსონის მოთხრობა სურათებით
სააღდგომო საჩუქრით
ვარაყიანის ყდით 1 მ.

იყიდება ჯეჯილის რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ჯეჯილის რედაქციაშივე ისყიდება 1897, 98 და 99 წლების ჯეჯილი თითო წლისა ორ მანათად. (10—6—8)

ახალი წიგნები
გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.
სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი		15 ,,
პატრე ჩონგური ლექსი (დედა-ენა) . . .		5 ,,
ვაჟრული ჭკუა, ლექსი აკაკისა		5 ,,
დათუნა გოცირიძე **როსტომ ერისთავი**	ძველებური ამბავი აკაკისა	5 ,,
აბრამის და იოვბის ლექსი		3 ,,
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)		5 ,,
ორი ქოსატყუილა **ბიჭია მენახირე** **მეფე და სკვინჩა**	ხალხური ზღაპარი.	10 ,,

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსენდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіавская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტფილისში
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების" ქვეშ.
ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები —სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.
(100—12)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 апрѣля 1903 г. Типографія „Гутенбергъ" (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.